

თამარ ვაშაკიძე

სახელისა და გვარის შებრუნებული წყობისათვის (ქართული და არაქართული გვარების მიხედვით)

ჯერ სახელი და მერე გვარი პირის დასახელებისას ბუნებრივი წყობაა: ქეთევან გიორგობიანი, დავით ბარამიძე, ნუგზარ გოგიჩაიშვილი... მაგრამ ხშირად ამა თუ იმ საბუთის გაფორმება (ანბანური სიები, რეესტრები და სხვ.) საჭიროებს შებრუნებულ წყობას – გვარი და სახელი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი შემთხვევები (როცა გვარი უსწრებს სახელს) არცთუ იშვიათად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ყოველდღიურ მეტყველებაში, მაგ., ერთმანეთის პარალელურად გვაქვს: შატბერაშვილის ზურაბის, შატბერაშვილი ზურაბის და შატბერაშვილ ზურაბის; დადიანით ქეთევანით, დადიანი ქეთევანით და დადიან ქეთევანით; ფაღავასი ვახტანგის და ფაღავა ვახტანგის; ივანოვის პეტრესი, ივანოვი პეტრესი და ივანოვ პეტრესი; დოლომანოვასი ირინესი და დოლომანოვა ირინესი; დიმიტრიადის ლილის, დიმიტრიადი ლილის და დიმიტრიად ლილის; პარონიანით გენოთი, პარონიანი გენოთი და პარონიან გენოთი...

სახელისა და გვარის შებრუნებული წყობის შემთხვევებში გასათვალისწინებელია, გვარი თანხმოდანფუძიანია თუ ხმოდანფუძიანი. ეს უკანასკნელი (ხმოდანფუძიანი გვარი) სახელთან ბრუნებისას ისევე მოიქცევა, როგორც ხმოდანფუძიანი მსაზღვრელი, რომელიც წინ უსწრებს საზღვრულს (მაგ., მწვანე მინდორი), მხოლოდ წოდებით ბრუნვაში (მიმართვის ფორმაში) სახელი წარმოდგენილი იქნება ფუძის სახით:

სახ.	ჩხეიძე დავით-ი	ფაღავა გურამ-ი
მოთხრ.	ჩხეიძე დავით-მა	ფაღავა გურამ-მა
მიც.	ჩხეიძე დავით-ს	ფაღავა გურამ-ს
ნათ.	ჩხეიძე დავით-ის	ფაღავა გურამ-ის
მოქმ.	ჩხეიძე დავით-ით	ფაღავა გურამ-ით
ვით.	ჩხეიძე დავით-ად	ფაღავა გურამ-ად
წოდ.	ჩხეიძე დავით	ფაღავა გურამ

ანალოგიური ვითარება გვექნება არაქართული ხმოვანფუძიანი გვარების შემთხვევაშიც:

სახ.	ტკაჩენკო პავლე	ახმატოვა ანა
მოთხრ.	ტკაჩენკო პავლე-მ	ახმატოვა ანა-მ
მიც.	ტკაჩენკო პავლე-ს	ახმატოვა ანა-ს
ნათ.	ტკაჩენკო პავლე-ს(ი)	ახმატოვა ანა-ს(ი)
მოქმ.	ტკაჩენკო პავლე-თი	ახმატოვა ანა-თი
ვით.	ტკაჩენკო პავლე-დ	ახმატოვა ანა-დ
წოდ.	ტკაჩენკო პავლე	ახმატოვა ანა

სახ.	ჩაიკოვსკი პეტრე	დიმიტრიადი ლილი
მოთხრ.	ჩაიკოვსკი პეტრე-მ	დიმიტრიადი ლილი-მ
მიც.	ჩაიკოვსკი პეტრე-ს	დიმიტრიადი ლილი-ს
ნათ.	ჩაიკოვსკი პეტრე-ს(ი)	დიმიტრიადი ლილი-ს
მოქმ.	ჩაიკოვსკი პეტრე-თი	დიმიტრიადი ლილი-თ
ვით.	ჩაიკოვსკი პეტრე-დ	დიმიტრიადი ლილი-დ
წოდ.	ჩაიკოვსკი პეტრე	დიმიტრიადი ლილი

როგორ მოიქცევა თანხმოვანფუძიანი გვარი სახელის წინა პოზიციაში – როგორც წოდება-თანამდებობისა და ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელი (მატერაშვილ ზურაბის წიგნი), როგორც თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (მატერაშვილი ზურაბის წიგნი) თუ – ყველა ბრუნვაში დაირთავს შესაბამის ნიშანს (მატერაშვილის ზურაბის წიგნი)? ვფიქრობთ, შებრუნებული წყობის შემთხვევაში ყველაზე ბუნებრივი ჩანს (მეტყველებაშიც ყველაზე ხშირად სწორედ ამ სახით დასტურდება) მეორე ვარიანტი (მატერაშვილი ზურაბის წიგნი, მატერაშვილი ზურაბით ვამაყოფთ, შდრ., წითელი ვაშლის, წითელი ვაშლით).

სახ.	მატერაშვილ-ი ზურაბ-ი	დადიან-ი ქეთევან-ი
მოთხრ.	მატერაშვილ-მა ზურაბ-მა	დადიან-მა ქეთევან-მა
მიც.	მატერაშვილ ზურაბ-ს	დადიან ქეთევან-ს
ნათ.	მატერაშვილ-ი ზურაბ-ის	დადიან-ი ქეთევან-ის
მოქმ.	მატერაშვილ-ი ზურაბ-ით	დადიან-ი ქეთევან-ით
ვით.	მატერაშვილ ზურაბ-ად	დადიან ქეთევან-ად
წოდ.	მატერაშვილ-ო ზურაბ	დადიან-ო ქეთევან

ამავე წესს დაექვემდებარება არაქართული თანხმოვანფუძიანი გვარები:

სახ.	ივანოვ-ი პეტრე	პარონიან-ი გენო
მოთხრ.	ივანოვ-მა პეტრე-მ	პარონიან-მა გენო-მ
მიც.	ივანოვ პეტრე-ს	პარონიან გენო-ს
ნათ.	ივანოვ-ი პეტრე-ს(ი)	პარონიან-ი გენო-ს(ი)
მოქმ.	ივანოვ-ი პეტრე-თი	პარონიან-ი გენო-თი
ვით.	ივანოვ პეტრე-დ	პარონიან გენო-დ
წოდ.	ივანოვ-ო პეტრე	პარონიან-ო გენო

თუ შებრუნებული წყობის შემთხვევაში გვარს გავაფორმებთ ბრუნვის ნიშნებით, სახელი განკერძოვდება და მძიმით გამოეყოფა მას (გვარს): წიგნს გადავცემ შატბერაშვილს, ზურაბს; წიგნს გადავცემ ივანოვს, პეტრეს; დავურეკავ ფაღვას, გურამს; დავურეკავ ტკაჩენკოს, პავლეს; ეს წიგნი არის შატბერაშვილის, ზურაბის; ეს წიგნი არის ივანოვის, პეტრეს(ი); ეს ნომერი არის ფაღვასი, გურამის; ეს ნომერი არის ტკაჩენკოსი, პავლეს(ი); ვამაყოფთ შატბერაშვილით, ზურაბით; ვამაყოფთ ივანოვით, პეტრეთი; ვამაყოფთ ფაღვათი, გურამით; ვამაყოფთ ტკაჩენკოთი, პავლეთი; თავი გამოაცხადა შატბერაშვილად, ზურაბად; თავი გამოაცხადა ივანოვად, პეტრედ; თავი გამოაცხადა ფაღვად, გურამად; თავი გამოაცხადა ტკაჩენკოდ, პავლედ და სხვ.

Tamar Vashakidze

Towards the Inverse Constitution of Name and Surname (according to the Georgian and non-Georgian surnames)

S u m m a r y

A surname with a vowel ending is declined with a name like determinadum with a vowel ending, which precedes the determinatum

(**čxeiže daviti, čxeiže davitma, čxeiže davits..., axmaṭova ana, axmaṭova anam, axmaṭova anas...**).

A last name with a vowel ending, which precedes a name, follows the model, which is established in declining of determinandum and determinatum with a consonant ending (**šaṭberšvili zurabi, šaṭberašvilma zurabma; ivanovi peṭre, ivanovma peṭrem...**).

If during the inverse order a last name with vowel/consonant ending occurs with a case marker, a name is isolated and is separated from a preceded name by a comma (**es ṭigni aris šaṭberašvilis, zurabis** „This is Shatberashvili Zurabi’s book“; **es ṭigni aris ivanovis, peṭresi** „This is Ivanov Peter’s book“...).